პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აპლიკანტმა ეროვნული გამოცდები უნდა ჩააბაროს შემდეგ საგნებში: მათემატიკა ან ფიზიკა, ქართული ენა და ინგლისური ენა.

პროგრამაზე ჩასარიცხი აპლიკანტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მიღებული შედეგის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე შიდა და გარე მობილობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიან ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერების“ კურსდამთავრებული:

- მოახდენს გამოთვლითი მეთოდების და ალგორითმული პრინციპების ეფექტურად გამოყენებას სახვადასხვა დარგში რეალური პრობლემების გადასაჭრელად. აკადემურ გარემოსა და ინდუსტრიაში არსებული კომპლექსური ამოცანებისათვის შეძლებს მიიღოს ~~შექმნას~~ და განავითაროს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.
- გამოიმუშავებს ეთიკურ და პროფესიულ ქცევის უნარებს, გააცნობიერებს გამოთვლითი გადაწყვეტილებების გავლენას საზოგადოებაზე და დაიცვას ეთიკის პრინციპებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში.
- განივითარებს უწყვეტი სწავლის უნარებს მთელი სიცოცხლის მანძილზე და განსაზღვრავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას დამოუკიდებლად ან საუნივერსიტეტო განათლების შემდეგ საფეხურზე. შეისწავლის ახალ ტექნოლოგიების, რათა მუდმივად იყოს კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში მიმდინარე უახლესი მიღწევების ავანგარდში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. მიღებული ცოდნის საფუძველზე **აანალიზებს** კომპლექსურ გამოთვლით პრობლემას მომხმარებლის და დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით, იყენებს კომპიუტინგისა და სხვა მონათესავე დისციპლინების პრინციპებს გადაწყვეტილების იდენტიფიცირებისთვის;
2. **მონაწილეობს** გამოთვლებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დანერგვაში და შეფასებაში, რომელიც პროგრამის დისციპლინების კონტექსტში აკმაყოფილებს კომპიუტინგის მოთხოვნებს.
3. **ახდენს** ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში;
4. **იღებს** არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობით სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების საფუძველზე;
5. **ასრულებს** გუნდის წევრის ან ლიდერის მოვალეობას პროგრამის სფეროს ან დარგის შესაბამის აქტივობებში;

იყენებს კომპიუტერული მეცნიერების თეორიას და პროგრამული უზრუნველყოფის საფუძვლებს გამოთვლებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
(C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
(D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
(E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.
უარყოფითი შეფასებებია:
(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა, ბმული: https://gtu.ge/pdf/forms-instructions/appeal-restore.pdf

დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, ბმული: https://www.gtu.edu.ge/uploads/2026/03/educational-process2-1.pdf

საგანი	**კრედიტი**
საინჟინრო მათემატიკა 1.1	5
ზოგადი ფიზიკა A2	4
კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლები	5
ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების ელემენტები	6
ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა ტექნოლოგიებში	5
უცხოური ენა 1 (არჩევითი)	

ქართული ენა - 1 (არა ქართულენოვანებისთვის)	5
ინგლისურიენა B2-1	
საინჟინრო მათემატიკა 2.1	5
ზოგადი ფიზიკა B2	4
ოპერაციული სისტემების საფუძვლები	5
ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება -1 (C++ /- C#)	5
მონაცემთა ბაზების სისტემების საფუძვლები	6
არჩევითი უცხოური ენა 2	
ქართული ენა - 2 (არა ქართულენოვანებისთვის)	5
ინგლისურიენა B2-2	
საინჟინრო მათემატიკა 3.1	5
ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება 2 (Java-ს საფუძველზე)	5
მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა - Oracle	6
ალბათობის თეორიის საფუძვლები	5
ოპტიმიზაციის მეთოდები	5
საბუნებისმეტყველო მეცნიერება (არჩევითი)	
ზოგადი ფიზიკა C2	4
ზოგადი ქიმია A	
აკადემიური წერის ელემენტები	3
შესავალი კომპიუტერულ ქსელებში	6
დაპროგრამება Python-ზე	5
Webტექნოლოგიებისსაფუძვლები	5
დისკრეტული მათემატიკა	6
სტატისტიკური მოდელები და იმიტაცია SPSS-ის გამოყენებით	5
კომპიუტერის არქიტექტურა	4
ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები -ესა ინგლისურად	6

ადამიანურ - კომპიუტერული ინტერაქციები	4
მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები	4
ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები	6
სპეციალობის არჩევითი 1	6
კომპიუტერული ქსელების ორგანიზაცია	
განაწილებული მონაცემთა ბაზების სისტემები	
საქმიანი ინტელექტი გადაწყვეტილების მისაღებად	
ვებ აპლიკაციების დეველოპმენტი ASP.NET MVC Framework-ის გამოყენებით	
მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი და ცოდნის მოპოვება დიდი მონაცემებისათვის	6
დიდი მონაცემების საფუძვლები	6
მანქანური სწავლება	6
სპეციალობის არჩევითი 2	
მეტა მონაცემთა შენახვისა და მართვის საფუძვლები	6
კომპიუტერულისისტემებისმოდერნიზაცია და სერვისი	
ბადური გამოთვლები	
სპეციალობის არჩევითი 3	
გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) საფუძვლები	6
ხელოვნური ინტელექტი ვებსაიტებში	
ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა	
დიდ მონაცემთა შენახვისა და დამუშავების სისტემა Hadoop	6
კიბერუსაფრთხოების მექანიზმები და მეთოდები	4
საწარმოო პრაქტიკა (კომპიუტერულ მეცნიერებაში)	6
მობილური აპლიკაციების აგება	5
კომპიუტერული გრაფიკა და ინტერაქციული ტექნიკები	4

სპეციალობის არჩევითი 4	
გენეტიკური ალგორითმების ზოგადი პარადიგმები	5
შემეცნებითი გამოთვლები და დიდი მონაცემების ანალიზი	
ღრუბლოვანი გამოთვლები	
ცოდნის წარმოდგენა და განსჯა	
ნივთების ინტერნეტი	
ფინალური პროექტი	10
თავისუფალი კომპონენტები	20
სულ	**[240]**